

ქართველობას კონსოლიდაცია სჭირდებოდა. თუ „კვალის“ პუბლიკაციის მიხედვით „წარსულში ყველაფერი, და სხვათა შორის ეროვნული მოძრაობა და იდეოლოგია ბატონი-ყმობის გამტკიცება და გამოხატულება იყო“,¹ აკაკი საპირისპიროს დასძნდა: „ეროვნული იდეაზე ვიტყვით, რომ ეს ოდეა კი არ არღვევდა, ამტკიცებდა ბატონი-ყმობას, და პატარი ერის „სულის კვეთების“ ჩატარები მიზნათ ჰქონდა გარეშე მჩვდვრელების მოშორება“.² 1908 წელს დაწერილ ლექსში კი აკაკი მჩვდვრელთა წინაშე დაჩაგრული ქართველობის გაერთიანების საჭიროებაზე ასე წერდა:

„სანამ მტერი ჩვენ გარეშე
სასიკვდილოდ გვემუქრება
შინაური ბრძოლა არის
უსუსური უგნურება“...
„და დღვიგანდელ ქართველებს კი
აღარი აქვსთ ეს შეგნება
და სასკვითოდ გარდაქმნიათ
მათი გრძნობა და გონება“.³

აკაკის თქმით, ასევე უნდა ყოფილიყო მანამ, სანამ საქართველო გათავისუფლდებოდა. ამნაირადვე ფიქრობდნენ ილია, იაკობ გოგებაშვილი და სხვები, მაგრამ ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის აღნიშნული აზრი, პოზიცია გაუგებარი აღმოჩნდა.

4. ვაშა-ფშაველა ერის რაობის ზესახვა

ვაჟასაც, ისევე როგორც მის წინამორბედებს, გაბმული, სისტემატური თხრობა არ ჰქონია ერის არსზე, მის ცალკეულ ნიშან-თვისებებზე, მაგრამ მის ნაწერებში გაბნეულია ცალქე აზრები, რომლებიც ნათელს ჰქონია მის შეხედულების საკითხზე. ერის ნიშან-თვისებათა ერთობლიობის თაობაზე ერთგან ვკითხულობთ: „დედა-ენა, ტერიტორია, ისტორიული იდეალები საუკუნო შემა-

¹ გაზ. „კვალი“, მცირე შენიშვნა, №33, 1903.

² პირველად ეს სტატია აკაკი დაბეჭდა გაზ. „კვალის“ 1903 წლის მომდევნო ნომერში.

³ თხ. ტ. III, გვ. 271.

ერთებული ელემენტია „ეროვნებისა“⁴ და დასძნდა: „ნაციონალისტები ყველა ამის დაცვაში ჰქონიერებას და ნურას უკაცრავად, თუ სხვა იდეალებზე ჯერჯერობითს დღუმად“⁵. სხვა ადგილას აღნიშნავს დედა-ენას, ისტორიულ წარსულს, სახელოვან ძოლვაწებს, ეროვნულ ტერიტორიას, მწერლობას და სხვ.⁶ მიუთითებს რასის ფაქტორსაც („ანთროპოლოგია მაიც პოულობს ამ განსხვავებათა მოდგმის ერთა შორის“ და იქვე გახაზავს თავის ქალის ძოყვანილობას, ე. ი. კოანიოლოგიურ მომენტს).⁷ ვაკას მიერ ტერგან აღნიშნულია ეროვნული თვით შეგნება“⁸ („გაძლიერება კი ჩვენი ყოვლად შეუძლებელია, თუ ეროვნულს თვით შეგნებას დავკარგავთ“)⁹. სხვაგან ქართველობის მიმართ იგი ასე ამბობდა: „თავის თავის მცნობელი, თავის თავისა და კარგის მგრძნობელი“, ე. ი. გულისხმობს ეროვნულ თვითშეგნებას.

აღნიშნულ ნიშან-თვისებათაგან ვაჟა ყველაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დედა-ენას. („დედა-ენა ისეთი კუთვნილებაა ერისა, რომ თუ იმას დასთმობს ერი, სხვა ყველაფერსაც უგულებელყოფს, ტერიტორიაზედაც ხელს აიღებს“¹⁰). ამ გარემოებას ერის დიდი ნაწილი, ვაჟას მიხედვით, თეორიულად ვერ აცნობიერებს, მაგრამ ისტინქტურად კი გრძნობს — მაგალითად როცა რიგითი წარმომადგენელი ისმენს მშობლიურ ენას თუნდაც ულირსი თანამემამულასაგან¹¹. ცხადია, დედა-ენის მნიშვნელობა უკეთ ესმის ინტელიგენციას¹², ყველაზე მეტად კი მწერლებს ხელვწიფებათ „ენის სულისა და გულის შეგნება; ამ შეგნებისათვის კი საჭიროა ის ლირსება და მადლი, რომ თვით შემცირებული უცემდეს ქართულად გული და მავა. ამისთანები სიტყვაკაზმულ ნაწარმოების ავტორთა შორის უნდა ვეძოთ“¹³. თავის მხრივ ენის შემოქმედია მთელი ერი („ერი უპირ-

¹ „ეროვნება“ აქ ნახშირია ერის, ალხის მნიშვნელობით.

² ვაჟა-ფშაველა. თხ. შენიშვნა, სტული კებული ათ ტომად, ტ. IX, გვ. 455.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 253.

⁵ იქვე, გვ. 466.

⁶ იქვე, გვ. 301.

⁷ იქვე, გვ. 455.

⁸ იქვე.

⁹ იქვე.

ველეს ყოვლისა დედაა ენისა“)! ყოველივე ძქელან გამომდინარე, ვაჟა დასკვნიდა დედა-ენის დიდ მნიშვნელობას განათლების მიღებისათვის; ეს უნდა ხდებოდეს ორ-სამ წელიწადს მაინც.² გასაგებია, რომ 1905 წელს პოეტის მიერ შედგენილ „ფშავ-ხევსურთა დეკლარაციაში“ მეოცე მოთხოვნად ქართულ ენაზე სწავლება იყო შეტანილი.

ტერიტორიის თაობაზე ვაჟა-ფშაველა წერდა: „მართლაც, დედა-მიწა დიდი საუნგეა ერისათვის, უტერიტორიოდ ერი ვერაფე-რი ერია, მის სიცოცხლეს მუდამ საფრთხე მოელის, საეჭვოა მის; მომავალი. როგორც უწყლოდ თევზი ვერ გასძლებს, ისე უტერიტორიოდ ერი“;³ „ჩვენი ძლიერება სწორედ ამაშია, დღეს ამით უნდა მოგვწონდეს თავი, რომ მიწა-წყალი შევინარჩუნეთ“!⁴ ტერიტორია მხოლოდ მასზე მოსახელე გლეხეაცობისათვის როდი არის მნიშვნელოვანი. იგი ესპიროება პროლეტარიატსაც, რომლის ინტერესებს გამომხატველადაც მოქმედიათ თავი ქართველ სოციალ-დემოკრატებს. ამის თაობაზე კი ვაჟა-შენიშნავდა: „ყოველ პროლეტარიატს ესპიროება საცხოვრებელი ბინა, სახლი, რომელიც უნდა იღვეს უსათუოდ დედამიწაზე, უნდა მიმისვლა უმშევრელად იმავე დედამიწაზე და რაც კიდევ ყველაზე უაღრესია, ფაბრიკა-ქარხნებში უნდა შეიმუშავოს იმავე დედამიწის მოსავალი. მაშასადმე პროლეტარიატიც იგივე მონაწილეა ამხანაგი გლეხისა, რომელიც მიწას ამუშავებს, მონაწილეა იმ მიწისა, რომელიც მას სამუშაო მასალას აძლევს“⁵ ადრენად, მშობლიური მიწა-წყალი, ტერიტორია ყველამ უნდა დაიცვას (ცხადია, ეს ეხება მშვიდობიანობის დროსაც). ვაჟა წერდა:

„რა ვუთხრა იმათ, ვინც უთმობს
სხვას მამა-პაპის კერასა?
ვერ არგებს კაცობრიობას
იგი თვეს დლეში ვერასა“⁶.

¹ თხ., ტ. IX, გვ. 126.

² ტ. X, გვ. 93.

³ თხ., ტ. IX, გვ. 427.

⁴ იქვე. „ფშავ-ხევსურთის დეკლარაციაში“ აღნიშნულია, რომ მიწა ყველას უნდა მისცემოდა დასაცავებლად, თუ ადგილზე არ იყო, მაშინ—საქართველოს სხვა კუთხეებში.

⁵ იქვე, გვ. 466.

⁶ თხ., ტ. I, გვ. 371.

ილიას ზეგავლენით, ვაჟასაც მტკიცედ პქონდა გაცნობიერებული ისტორიის დიდი მნიშვნელობა ერისათვის. „ყველა ერს, რომელსაც მართლა ერობა ეთქმის, აქვს ისტორია, აქვს წარსული, აქვს საკუთარი ისტორიული ღლები, სულ ერთია, — ორივე ცალკ-ცალკე კარგად აღნიშნავს თვით საგანს. წარსულის ღრის სიკეთე, ქველობა თუ გმირობა აღაფროვანებს, ასულღმულებს აწმყო ღრის ერს, ამხნევებს და კარგი მერმისა: მოპოვების წადილს უჩემს გულში. ცარიელი ისტყვა როდია, ტყურლად არ ამბობენ ჭკვიანი: დალუპულია ას ერი, რომელსაც ისტორია არა აქვს, რომელსაც ხატად წინ არ უდგას საკუთარის ისტორიის ანდერძი“—ო¹—წერდა იგი. ამიტომაც, მისი თქმით, ევროპაში თვით ცხოვრების ვითარება, თვით საზოგადოება უწყობს ხელ! ეროვნულ აღზრდას, რაშიც უპირველესად იგულისხმება საკუთარი: ისტორიის სიყრიმიდანვე სწავლა.² პოეტს, როგორც ვიცით, ისტორიის სახელმძღვანელო არ დაუწერია, მაგრამ წარსულის თემას მიუძღვნა ბრწყინვალე ნაწარმოებები, რითაც ხელი შეუწყო მასებზე ისტორიის პოპულარიზაციას. (ამასვე აქეთებდა ლიკა, აყავი და იაკობ გოგებაშვილი). პარადოქსულია რომ ის, რაც ასე მყარად გააცნობიერეს თერგდალეულთა ცნობილმა წარმომადგენლებმა (ვგულისხმობთ ისტორიის მნიშვნელობას ერის ცნების გაგებისათვის) ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისათვის მთელი უკანასკნელ ათწლეულების მანძილზე უცნობი დარჩა. ამაში საბედისწერო როლი ითამაშა ი. ბ. სტალინის „კლასურმა“ ნაშრომმა ეროვნული საქითხის შესახებ, რომელიც, ამასთანავე, ბევრს ქართული ან რევნების უდიდეს მიღწევად ეწვენებოდა.

ვაჟაც, ზოგიერთ სამოცანელთა მსგავსად, აქტიურად ჩაება იკამათში, რომელიც გაიმართა ჯინსაღ პატრიოტულ ძალებსა და კომიპოლიტებს (სოციალ-დემოკრატებს) შორის. თუმცა ერთ ხანი იგი თანაუგრძნობდა ხალხოსნებს, მაგრამ მალე ჩამოსცილდა, მიხედა, რაც მხოლოდ საზოგადოების ერთი კლასის ან ფენის ინტერესების დაცვა არასწორია, აუცილებელი იყო მთელი ერის კოს სოლიდაცია, შესაბამისად ეროვნული საკითხისადმი დიდი ყურადღების მიქცევა. იგი წერდა: „ამ პარტიის (იგულისხმება ხალხოსნების კუთხეებში)

¹ თხ., ტ. IX, გვ. 189—190.

² იქვე, გვ. 188—189.

16. გ. ყორანაშვილი

ზი — გ. ყ.) წადილი ის იყო, რომ გლეხებაცობის კეთილდღეობისათვის ეზრუნა, მისი ეკონომიური ყოფა-მდგომარეობა გაუშემობესესინა. თითქმის მარტო გლეხებაცობისაგან შემდგარი საქართველო უნდა დაეძისებინა. დანარჩენი ეროვნული საჭიროებანი დავიწყებული ჰქონდათ, დავიწყებული იყო აგრეთვე თავადაზნაურობა, რომელსაც თითქოს აზაფერი უჭირდა და იმათი დასუსტება ირაფერი დანაკლისი იყო ვითომ ერიავნულ საქმეთათვის. მოკლედ რომ ვსთქვათ, ეროვნული აზრი უარყოფილი იყო იმათვან. ეს პარტია, როგორც თვითონაც იგრძნო ბოლო დროს, ნაძალადევი, ხუხულა-სავით ნაგები, სხვისი მიბაძვით, „სხეს ჩაძახებით“ ნაკოწიწები გა-მოდგა; გაიგო ისიც, რომ დღეს ჩვენს მდგომარეობას არ შეეფე-რებოდა ამგვარი მოძღვრება და უკან დაიხია, თავისი თავი თვითონ-ვე უარკვთ“¹.

ამგვარი გამოცდილების შემდეგ მით უფრო მიუღებე-ბელი იქნებოდა ვაჟასათვის სოციალ-დემოკრატების აზროვნება და, მართლაც იგი იმთავითვე გაემიჯვა მათ და უფრო მეტიც, დაუპა-რისპირადა კიდეც. სწორედ ამ უკანასკნელთა მისამართით ამბობდა იგი: „რად გიკვირსთ, მაშასადამე, რომ ჩვენში არიან ისეთები, რო-მელთაც თავის თავი წარმოუდგენიათ ქვეყნის ლალად, პატრიონად, არა პირადი თავის ნალვაწი, არამედ ერის საუნგე — ტერიტორია გახადონ სამო, საკაცობრიო ტაბლად და თვით ერისაც ააღებინონ ხელი ეროვნებაზე“². ლექსში „განა-კაცია?“ პოეტი წერდა:

„ტვინ-თხელაძეთა მიმყოლი
არა გზას გაიკვლევს ერაზ?
ლმერთო, გვაშორე, ეს ლვარძლი
საიდან გამოგვერია?“;
„ყოფილა, არა მჯეროდა,
მტერობა თავის თავისა“³.

როგორც აკავის, ისე ვაჟასათვის შეტად აქტუალური გახდა პატრიოტიზმისა და კოსმოპოლიტიზმის (იგი ჩშირად ამ სრტყეს ინტერნაციონალიზმის შინაარსით ხმარობდა) თანაფარდობა. ეგი აღნიშვნელა, რომ „ჩვენში პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი უმ-რავლესობას არ ესმის სწორედ, რადგან ეს უმრავლესობა საზრდო-

ობს ქუჩაში შოკრებილი ფრაზებით და შეცნიერულად, სისტემატი-ურად არ შეუსწავლია არც ერთი მოძღვრება, ამიტომ ამისთანა კოსმოპოლიტებს თავისი თავი პატრიოტებზე გონიერი, ჰქვიანი და მაღალზნეობიანი ჰგონია“⁴. ვაჟას ფიქრით უპირველესი საზრუ-ნავი იყო საკუთარი ერი და შემდეგ მთელი კაცობრიობა, რაც სუ-ლაც არ იყო ეროვნული ეგოზმი. იგი წერდა: „უნდა გვახსოვდეს ყველა აღამიანს ეს ჭეშმარიტება: კოსმოპოლიტიზმის მიმყოლი ერი, მი დროს, როცა მისი მეზობელი ერები, ინუ სახელმწიფოები, მის წინააღმდეგ კანონებს მისდევნ, დალუპულია... კოსმოპოლიტუ-რი სწავლით ხელმძღვანელობა მხოლოდ მაშინ არის სასარგებლო ერთი ერისათვის, როცა სხვა ერებიც ამავე მოძღვრებას აღიარებენ, თუ არა და არა“⁵.

ასე რომ, საქმე იდეალიზმში (ეთიკური აზრით) როდა: „ჩვენ იდეალებისას ვინ-და გვკითხავს, დღეს ჩვენი არსებობა სათუდ გამხდარა და საჭიროც ისაა, რომ არსებობა შევინარჩუნოთ. ვერ ღვინო უნდა გვქონდეს ნაშონი და მერე ტიკებისთვის ვიზრუნოთ. დიალ, არსებობა გვესაჭიროება, როგორც ერს. უნდა გვქონდეს რა-მე, რომ საკიცობრიო იდეალებს ზოგი ვანაცვალოთ, ზოგი რომ გადაცვალოთ და გადავისხვავოთ, უნდა როგორც ერი კულტურუ-ლად გავღონიერდეთ, გაეძლიერდეთ. გაძლიერება კი ჩვენი ყოვლად შეუძლებელია, თუ ეროვნულს თვით შეგნებას დავკარგავთ ავით-ვალისწუნებთ დედა-ენას და მის საშუალებით არ აღიზრდით, არ გაწეროთნით გონებრივ და ზნეობრივ ჩვენ შვილებს, ახალთაობას არ დავზოგავთ და მაგრა არ დავებლაუჭებით ჩვენს მცირ-წყალს და არ მოვლონიერდებით ეკონომიურად“⁶. დიალ გონივრული აზრია, რომელსაც ნორმალურ ვითარებაში თითქოს ერის და-დი ნაწილი უნდა გაცყოლოდა, მაგრამ, სამწუხაოდ, ასე არ მოხდა. ქართველი ხალხის გამთლიანება ამ იდეას გარშემო ვერ მოხერხდა. კლასთა ბრძოლა, სოციალიზმი და ინტერნაციონალიზმი (ცხადა, ყალბად გაგებული) ბევრისათვის სატყუარად იქცა. ბევრმა ინტერნაციონა-ლიზმისა და პატრიოტიზმის ურთიერთობიმართებაც კი ვერ გაიცნ-ბიერა.

¹ თხზ., ტ. IX, გვ. 427.

² იქვე, გვ. 289.

³ ტ. I, გვ. 371.

შვენიერ პუბლიცისტურ ნაშრომში, რომელიც „ივერიაში“ გამოქვეყნდა 1905 წელს, ვაჟა აღნიშნავდა: „ზოგს - ჰერია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს (ე. ი. ინტერნაციონალიზმს — გ. ყ.), მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია (ე. ი. ინტერნაციონალიზმი — გ. ყ.) ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია, როგორ? ისე, — რომელი აღამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამალლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობას განვითარებას, კეთილდღეობას“¹. შემდეგ იგი განაგრძობდა: „თუ მთელი ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო აღამიანთა ორზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულ ჯუფსა; თუ კერძო აღამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე ორზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტვებული ძალა, ენერგია, თავისებურება გამოაჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალიაზში...“² აქედან გამომდინარეობს თითოეული იქტიური აღამიანის, მოქალაქის სამოქმედო ამოცანაც: „ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალლონით, თანამომეტთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ლეაწლა, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის“³.

ვაჟას მოჰქონდა ედისონის, შექმნირის, სერვანტესის და გოვთეს („ვიოტეს“) მაგალითები, რომლებიც თუმცა თავის სამშობლში და თავის თანამომეტთათვის იღვწოდნენ, მაგრამ ახლა ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩინა თავის ღვაძლ შვილებად; ⁴ „ყველა გნიოსები ნაციონალურმა ნიაღაგმა აღზრდა, აღმოაცენა და განა-

დიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად“⁵. დასკვნა ასეთია: „მეცნიერება და გნიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეონებით“⁶.

საინტერესოა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის (კა. სპოლიტიზმი) შემცხების ვაჟას ული გაეგება. მის მიხედვით „პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიღრე ჰქონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილი და არის მისი მათაყვანებელი და პატრიოტიზმის მცემელი. კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჰქონის ნაყოფია, აღამიანის კეთილგონიერებისა, მას აღამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დაკტრიალებს“⁷. განსხვავებულობაა მათი წარმოშობის ღრიას თვალსაზრისითაც: „პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად ჰყვება აღამიანს“⁸.

ერთი სიტყვით, პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, ვაჟას სწორი შეხედულებით, ერთმანეთისაგან განუყრელია. იგი დასკვნიდა: „კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშერს იმათვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩავროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს“⁹. „კოსმოპოლიტიზმი მაშინ მიაღწევს თავის მიზანს, როცა ყველა კაცობრიობის შემადგენელი ერი აღზრდებიან და განვითარდებიან გონებრივ და ზნეობრ-ვ და გარგებვნ“¹⁰, ასე რომ, „ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა“¹¹.

¹ თაზ., ტ. IX, გვ. 252.

² იქვე, როგორც ვხედავთ, ვაჟა არ გაურმონა სიტყვა „ნაციონალიზმს“ საკუთარი თავისა და თანამომეტეთა მიმართ, მაშინ, როდესაც ქართველი სოფიალ-დემოკრატებისათვის ივა (ცს სიტყვა) ჩვეულებრივ სალანდოვად, ადიო ზური აზრით იქმნებოდა.

³ იქვე, გვ. 254.

⁴ იქვე, გვ. 253.

⁵ იქვე, გვ. 254.

⁶ იქვე.

¹ თაზ., ტ. IX, გვ. 252.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ იქვე.

სამწუხაოდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვაჟას დროინდელ კა-
ქართველოში და შემდეგაც, თვით უკანასკნელ წლებამდე, ბლომად
იყვნენ ადამიანები, რომლებიც პატრიოტიზმისა და ინტერნაციონა-
ლიზმის ურთიერთმიმართების საკითხზე სხვაგვარი აზრისანი იყვნენ
და არიან. ვაჟა მათ მხოლოდ პუბლიცისტის ენით კი არა, პოე-
ზის მეშვეობითაც ებრძოდა. ლექსში „თმა-გრძელა — ჭკუა-თხე-
ლა“ (1909) იგი წერდა:

„მშეთ-მმოქთობ, სჯახირობ,
ამბობ ჩაც არი, ჩაც არა,
მშეგობრობ ალი-მუსიას,
ნამწყრალევად ხარ ძმასთანა“;
„ფილოსოფოსის სახე გაქვს
და ღონ-კიხოტის ქანქები
გიწყვაი ჭიბე-უბეში
ევროპიული აზრები,
უმ-უმი, ულეჭ-უცხონი,
მაღალი სორტის ფრაზები“.¹

ვაჟამ ყურადღება მიაქცია ერთ მნიშვნელოვან მომენტსაც —
ერისა და პიროვნების თავისუფლების საკითხს. ერის ნამდვილი
თავისუფლება, ვაჟას შეხედულებით, მაშინ იწყება, როცა თავისუ-
ფლი იქნება პიროვნება: „თავისუფლება პიროვნებისა და ერის
ურთმანეთთან მჭიდროდ არის დაყავშირებული. სადაც არაა პი-
როვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში
რა თქმა უნდა პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სა-
თმაში ნივთი“.² ამ აზრის ნათელსაყოფად იგი მიუთათებდა ოუსე-
თის მაგალითზე: „დამონებული ერი მუდამ ბეჩავია შინაურობაში
და რა თქმა უნდა ბეჩავი და სუსტი გარეშე მტერთან საბრძოლე-
ლად. ამის დამამტკიცებული მაგალითი დღევანდელი რუსეთია, რო-
მელიც პატარა იაპონიას დაეტავა და რქები შემოიტვირა“.³

ვაჟას დროს, და მანამდეც, ქართული საზოგადოებრივი აზროვ-
ნების ყურადღების არეში მოექცა ერის დაბერების პრობლემა. ეს,
ცხადია, ო. კონტისა და ღრეპერის ზეგავლენათ არ მოხდა, თვითონ
უშუალო ქართულმა სინამდვილემ ქართველობის ერთი ნაწილი

ეროვნულ სასოწარკვეთილებაშედე მიიყვანა. გიორგი მუხრანსკა-
ძა და ქართველი ხალხსანების შესახებ უკვე ვწერდით. ვაჟასათვის,
ბევრისაგან გაისხვავებით, უკვე ემოციურ ღონეზე იყო მიუღებელი
ერის დაბერების იდეა: „ადამიანის გონება ყველას და ყველაფრის
დაბერებას შეურიგდება, ხოლო სიბერე ერისა საშინელებაა. ხო-
იცით, არიან და იყვნენ მეცნიერნი იმ აზრისანი, ვითომც შეიძლე-
ბოდეს ერის სიბერე და სიკვდილიც კი, როგორც სიყრმე, სიჭაბუ-
კე, დავაუკაცება—და სხვა. ამტკაცებენ ისინი ამას იმის გამო, რად-
გან იგონებენ ყოფილ, ასებულ და აწ მოსპობილ ერებს. თუმცა
ძნელია იმათ დაეთანხმოს კაცი: მაგრამ არა უშავს, ჩვენც თანახმა
გაუხდეთ, ხოლო ერთი რამ უნდა შევნიშნოთ იმათ მოძღვრებას:
შეიძლება ერი დაბერდეს სხვადასხვა პირობებისა და შიზეზებისა
გამო, და იგი მაღლ ისევ გაახალვაზრდავდება, თუ სხვა, მაცოცხლე-
ბელ პირობებში ჩაყენებ, რაც ცალკე პიროვნებას არ ძალას.
ცალკე აღებული და დაბერებული ადამიანის ბოლო მხოლოდ და
მხოლოდ სიკვდილია. რის გამო შეიძლება დაბერდეს ერი, თუმცა
იგი მუდამ ახლდება — ახალგაზრდათა შემატებით?“!¹ პოზიტიური
პასუხი ასეთი იყო: „ერს დაბერებს მხოლოდ მონობა, ასეთი ცხოვ-
რების პირობები, როცა მას საკუთარი ნების, ძალ-ღონის გამოხენის
საშუალება მოესპობა. ხანა საჭირო არ არი, ეს შეიძლება ერის სი-
ჭაბუკის ღრის მოხდეს. ენერგია ერისა არ უნდა იყოს შებორკილ-
შეჯავული, უნდა ჰქონდეს მას სარბიელი. დიალ, მონობა საშინე-
ლებაა, მომაკვდინებელია, როგორც სიბერე, და იგი იწვევს ერის
სიბერეს, სხვაფრივ ერის სიბერე და სიკვდილი შეუძლებელია მა-
ნამდე, სანამ მზე ანათობს დღით და ღამით მთვარე“.²

მაგრამ კაცობრიობის ისტორიამ ხომ უმრავი მაგალითი იცის
ერის დაჩახანაკება-სიკვდილისა. თუნდაც რომის იმპერიის მაგალი-
თი ავილოთ. ამის თაობაზე დიდი პოეტი წერდა: „დაბერდა ოღონ-
დაც; დაბერა და დააუძლურა. ყველა ერსაც ესევე დაემართება,
უკეთუ იგი სიცოცხლის წყაროს არ ეწაფება, თავისის ცხოვრები-
სათვის გამოსაღებს ვთარებას არ შეჰქმნის და, თუ აქვს, არ ინა-
ხავს, მაგრად არ უჭიდა ხელი. ეს დღესავით, მზესავით ნათელია,

¹ თხზ., გ. IX, გვ. 410.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 412.

აშკარაა¹! ამდენად თუ ერი ბერდება და შეიძლება მოკვდეს კა-
დეც, ეს ფატალურად როდია განსაზღვრული, არამედ დამოკიდე-
ბული სუბიექტური ფაქტორისაგან. რა თქმა უნდა, მკაცრი მეცნერუ-
ლი თვალსაზრისით ვაჟას პოზიციის სისუსტე ამ საკითხში აშკარაა,
ზაგრამ მთავარია სწორი ალო, რითაც იგი საერთოდ პრობლემას
განიხილავდა. მისასალმებელია მასი პათოსი, რომელიც ამ სიტყ-
ვებშია გამტევნებული: „ინტელიგენციას ან კი რა უფლება
ვაჟს — ჩვენს სიცოცხლით სავსე ერს ამისთანა შეუფერებელი
განაჩენი დაუდგინოთ ასე თამამად, კადნიერებით?“²

§ 2. მისაკო წერილის ნახრები ერის საკითხები

XX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ერის
საკითხის გაცნობიერებაში უკელაზე მეტი მიხევთ წერეთელმა გა-
აკეთა. სწორედ აღნიშნული საკითხის თაობაზე პეტრე მას გამო-
ქვეყნებული მოზრდილი მონოგრაფია „ერი და კაცობრიობა“. ასე
რომ, მიხევთ წერეთელი საქართველოს ისტორიაში პირველი განლ-
დათ, ვინც ეცადა. მონოგრაფიული ფორმით, სისტემატური სახით
განეხილა ჩვენთვის დიდად აქტუალური საკითხი. (მანამდე, 1909
წელს, მას გაზეთ „ერში“ გამოქვეყნებული პეტრე დიდი სტატია
„ერის უფლება“). წიგნი დაწერილი იყო თანადროული, ახალი სო-
ციოლოგური თეორიების საფუძველზე, რის გამოც მისადმი ინ-
ტერესი, კერძოდ სოციოლოგიური, დიდია დღესაც კი.

შევეცდებით მოკლედ გადმოცემ მიხევთ წერეთლის ნააზრე-
ვი ერის თაობაზე, ვეცდებით ნათელყოთ მისეული თეორიული
მემკვიდრეობის დრდი უპირატესობა ი. ბ. სტალინის ანალოგიურ
ნაშრომთან შედარებით.

უწინარესად უნდა გავითვალისწინოთ ის იდეოლოგიური
ბრძოლის ფონი, რომელმაც განაპირობა მიხევთ წერეთლის „ერის
და კაცობრიობის“ შექმნა. იგტორის პათოსი მიმართული იყო რო-
გორც რუსი შოვინისტების, ისე (უფრო მეტაც) ქართველი სოცი-
ალ-დემოკრატების წინააღმდეგ, რომელმაც გრისადმი, კერძოდ ქარ-
თველობისადმი, უკიდურესი ხიპილინშით იყვნენ განწყობილი.

¹ თხ. ტ. IX, გვ. 383.

² იქვე.

ბოლომდე, 1965 წლამდე, ახასიათებდა გულმცურვალე, ღრმა პატ-
რიოტიზმი, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, მის ფასეულობით სკალა-
ში, სისტემაში ერს უპირველესი ადგილი ეკავა. აღნიშნული, ცხა-
დია, სულაც არ გამორიცხავდა ინტერნაციონალიზმს. იგივე უნდა
ითქვას ანარქიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ვარ-
ლია ჩერქეზიშვილის მიმართ, რომლის პატრიოტულმა, ეროვნულმა
პოზიციამ სათანადო იმპულსი მისცა „ერისა და კაცობრიობის“ ივ-
ორს (სხვათა შორის, წიგნი სწორედ გარღოვან ჩერქეზიშვილისადმია
მიღვნილი).

თუ ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის უმთავრესი იყო
ინტერნაციონალიზმი, უფრო ზუსტად კოსმოპოლიტიზმი, ისე რომ
ამ ფონზე პატრიოტიზმს, საქართველოსადმი სიყვარულს, ადგილი
ძალიან ცოტა რჩებოდა, მიხევთ წერეთელი სხვანაირად ფიქრობ-
და. მისი აზრით, ამოსავალი არის ერი, „რადგანაც ინტერნაციონა-
ლიზმი ნიშნავს ერთა შორის განწყობილებას (ურთიერთობებს —
გ. უ.), უფლებრივ და ვალდებულებითს დამოკიდებულებასა. თვით
ცნებანი ერისა და მისი უფლებებისა აუცილებელია ინტერნაციო-
ნალიზმის საცოდნელად³!“ აზროვნებაც შესაბამისად უპირველესად
ერიდან, როგორც უშუალო, პირველადი სინამდვილიდან უნდა
გამოდიოდეს.

კიდევ შეტი, ნალი ინტერნაციონალიზმისათვის სულ ერთი
როდია ერები დამონებული იქნებან თუ თავისუფალი. ის რას
წერდა მიხევთ წერეთელი ამის თაობაზე: „განსაკუთრებით იმ ერთა
შორის იყო ღრმად ფესვგადგმული ინტერნაციონალიზმი, სადაც
ეროვნული საკითხი გადაწყვეტილი იყო, სადაც ერს, როგორც
მთელს სოციალურს ორგანიზმს, საფრთხე არ მოელოდა“;² „ამ
ქვეყნებში კი, რომელნიც მონებად დარჩენა, დღესაც ინტერნაციო-
ნალიზმს ეროვნული პრობლემის შხრით დიდი დაბრკოლება აქვს
და ექნება ყოველთვის თუ ერს სრულიად არ დაუკარგავს სურვილი
საცოცხლისა და დამოუკიდებლობისა“.³

თუმცა მიხევთ წერეთელი, მისივე აღიარებით, ერთ დროს თა-
ნაუგრძნობდა მარქსიზმს, მაგრამ ეს ცოტა ხანს გაგრძელდა, რადგან

¹ მიხევთ წერეთელი, ერი და კაცობრიობა, 1910, წინაიტყვაობა, გვ. XI.

² იქვე, გვ. X.

³ იქვე, გვ. X—XI. ქ.